საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში

საბჭოთა კავშირის პირველხარისხოვან ფეხბურთელთა გუნდები ყოველწლიურად ეცილებიან ერთმანეთს ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის. წლითიწლობით იზრდება მაყურებელთა ინტერესი ამ ყველაზე უფრო პოპულარული სახის სპორტისადმი.

წელს საკავშირო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის 14 უძლიერესი გუნდი. 13 გუნდს, რომლებიც შარშან მონაწილეობდნენ პირველობის გათამაშებაში, მიემატა მოსკოვის "ლოკომოტივი". პირველობის გათამაშება ტარდება ორ წრედ. ე.ი. გუნდები ერთმანეთს ხვდებიან ორჯერ – საკუთარსა და მოწინააღმდეგის სტადიონებზე.

თბილისის "დინამო" სამართლიანად ითვლება ერთ–ერთ პირველხარისხოვან გუნდად საბჭოთა კავშირში. იგი დიდი ხანია ენერგიულად მონაწილეობს პირველობისათვის ბრძოლაში, მაგრამ გადამწყვეტი შედეგისათვის ჯერ არ მიუღწევია. გუნდი ყოველთვის გამოდის მეორე, მესამე, ან მეოთხე ადგილზე.

საგულისხმოა, რომ პირველობის გათამაშების პირველ წრეს თბილისის "დინამო" ყოველთვის წარმატებით ატარებს, ხოლო შემდეგ, გადამწყვეტ შეხვედრებში გაცილებით ცუდად და მოდუნებულად თამაშობს. ცხადია, ამის უმთავრესი მიზეზი გუნდის ცუდად გაწვრთნაა. თბილისის "დინამო" ყველა თამაშს თანაბარი სიძლიერით ვერ ატარებს. ეს დაადასტურა თუნდაც წელს ჩვენს სტადიონზე ჩატარებულმა ორმა მატჩმა: სულ სხვანაირად ითამაშა თბილისის "დინამომ" მინსკის "დინამოსთან" და სულ სხვანაირად მოსკოვის "კრილია სოვეტოვთან".

მინსკის "დინამოსთან" შეხვედრა აღინიშნა ორი ახალგაზრდა მოთამაშის – შუამარბ ზაზროშვილისა და მეკარე მარღანიას ბრწყინვალე დებიუტით. ამასთანავე მთელი გუნდი ცოცხლად, მონდომებით, შეუნელებელი ტემპით თამაშობდა.

სულ სხვა სურათი ვიხილეთ კვირას, 16 მაისს მოსკოვის "კრილია სოვეტოვთან" შეხვედრისას. თავდამსხმელთა შორის, შეიძლება ითქვას, დამაკმაყოფილებლად თამაშობდნენ ზაზროშვილი და გ. ჯეჯელავა. დანარჩენი სამი თავდამსხმელი – ღოღობერიძე, მახარაძე და ანთაძე ზანტად, ყოვლად უხალისოდ თამაშობდნენ. მათ მიერ გადაწოდებული ბურთი მეტწილად მოწინააღმდეგეს უვარდებოდა ხელში, ხოლო კარში დარტყმული ბურთი ყოველთვის არაზუსტი იყო. ერთადერთი ბურთი, რომელიც დამცველმა სარჯველაძემ მოსკოველთა საჯარიმო მოედნამდე მიიტანა და ზუსტად გადააწოდა ანთაძეს, სულ ახლო მანძილიდან იქნა გატანილი. აღსანიშნავია, რომ თორმეტი კუთხური (კორნერი) დარტყმიდან თბილისელებმა ერთიც ვერ გამოიყენეს. ასევე უშედეგო აღმოჩნდა მოსკოველთა კარიდან არც ისე შორს დანიშნული რამდენიმე საჯარიმო დარტყმა. ეს ფაქტი თბილისის "დინამოს" თავდამსხმელთა სისუსტეს მოწმობს. ასევე ცუდად თამაშობდნენ "დინამოს" დაცვის ცენტრი კიკნაძე და მეკარე შუდრა. კიკნაძემ სწორედ საჯარიმო მოედნის ხაზთან გამოიჩინა უხეშობა (ბურთი პირიქით ხაზისაკენ მიდიოდა). სტუმრებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და შესძლეს ანგარიშის გათანაბრება. ეს იყო მოსკოველთა მიერ თბილისელთა კარში ერთადერთი ზუსტად, მაგრამ ამასთანავე სუსტად დარტყმული ბურთი და საჭირო იყო მეკარის ოდნავი ორიენტაცია, რომ ეს ბურთი აეღო. კიკნაძე არაა ცუდი მოთამაშე, მაგრამ დაცვის ცენტრად მისი დაყენება უსათუოდ შეცდომაა, რადგან მას სრულიად არ ეხერხება თავური თამაში და მაღლა ახტომა, რაც დაცვის ცენტრისათვის აუცილებელია.

საჭიროა თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნა გამოიტანონ 16 მაისს ჩატარებული მატჩიდან.

"კომუნისტი" 18 მაისი, 1948 წ.